ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №958253

ნომერი: AR1160826

თარიღი : 10.09.2013

გაცემის თარიღი : 23.10.2013

გაცნობის თარიღი : 24.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან აფციაური პ/ნ 01019000173
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 3 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქიას ქუჩა #7–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.14.05.008.115 მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ;

2013 წლის 09 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №AR1160826 განცხადებით მომართა მოქალაქე ლევან აფციაურმა და მოითხოვა 2009 წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/62 ბრძანებით შეთანხმებული ჯიქიას ქ. #7–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისადშეისწავლა საქმისათვისარსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებებიდა დაადგინა, რომ 2008 წლის 02

ოქტომბერს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქიას ქ. #7–ში არსებულ №01.14.05.008.115 (ფართობი 20168 მ^2) მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად, განაშენიანებისრეგულირებისგეგმის დასამუშავებლადმომზადდა №951 (02.10.08.) ქალაქთმშენებლობითი პირობები, რომლის საფუძველზე დამუშავდა განაშენიანებისრეგულირებისგეგმის პროექტი და 2009 წლის 27 იანვარს შეთანხმდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01/62 ბრძანებით.

2013 წლის 09 ოქტომბერს №AR1160826 ელექტრონული განცხადების საფუძველზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულრიების გეგმის პროექტის კორექტირებისსაკითხი, რაც ითვალისწინებსმიწის ნაკვეთებს შორის საზღვრების და ფართების კორექტირებას, სართულიანობის შემცირების გამო ინტენსივობის მაჩვენებლების შეცვლას, ასევე ინტენსივონის საერთო კოეფიციენტის ცვლილებას. საკითხი განიხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულიების საკითხთა კომისიის 2013 წლის 12 სექტემბრისსხდომაზე (ოქმი #36) რომელზეც გადაწყდა დადებითად და გამოიცა ქ. თბილისის მერის 2013 წლის 16 სექტემბრის #2006 განკარგულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებული პროექტის კორექტირება წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

<u>საფუძველი:</u>
–განცხადება AR1160826 (09.10.13.)
- საკადასტრო გეგმა: №01.14.05.008.115;
- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადებული ქალაქთმშენებლობითი პირობები №951 (02.10.08.)
–- ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #4 (13.12.08.);
–ქალაქ თბილისის მერის განკარგულება #2217 (25.12.08)
- ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება №01/62 (27.01.09.);
- ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #36 (12.09.13.)
- ქ. თბილისის მერის #2006 (16.09.13) განკარგულება;

<u>კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი: ---------- 20168 კვ.მ
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი: ---------- 4954 კვ.მ
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი გარე კონტურში: ———— 47565.8 კვ.მ
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: ———— კ–1=0.2;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: —— კ–2=2.4;
მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: ———— კ–3=0.1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს: მოქალაქე ლევან აფციაურის №AR1160826 (09.10.13.) განცხადება;
2. შეთანხმდეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქიას ქ. #7–ში არსებულ №01.14.05.008.115 (ფართობი 20168 მ^2) მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანებისრეგულირებისგეგმის კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი გრგ-ს საპროექტო წინადადების შესაბამისად.
3. საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს: ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #36 (12.09.13.) და ქ. თბილისის მერის #2006 (16.09.13) განკარგულება;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს: 2008 წლის 02 ოქტომბრის #951 ქალაქთმშენებლობის პირობებთან და 2009 წლის 27 იანვრის №01/62 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.